ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4713440

ნომერი: AR1711711

თარიღი : 08.10.2019

გაცემის თარიღი : 16.10.2019

გაცნობის თარიღი : 16.10.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკა ბულია პ/ნ 19001096829
- ზუგდიდი ს. ოდიში შ.დადიანის ქ. N 63

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 08

ოქტომბერს NAR1711711 განცხადებით მომართა ნიკა ბულიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, წყნეთის გზატკეცილი, N17-ის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატ. N15/ ქალაქი თბილისი, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, N17 თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.07.004.068), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 24 იანვრიდან 2019 წლის 24 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 29 იანვრის №3796857 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: დამხმარე ფართობი: 314.5 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობი: 7265.0 კვ.მ.
სამსახურის 2019 წლის 09 იანვრის №4329259 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 9 იანვრიდან 2020 წლის 9 იანვრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანების ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, განმარტავს, რომ საოფისე ფართობი 597.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 719.4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1176.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1051.0 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი 15635.6 კვ.მ-ის ნაცვლად 15632.8 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია +4.050 ნიშნულის შეცვლილი გეგმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი განცხადებით ხორციელდება ფუნქციის და გეგმარების ცვლილება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის საფუძველს. აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 24 იანვრის №3790093 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.